

აკადემიის რეკვიზიტები

დასახელება: *საზოგადიებრივი კოლეჯი Natali Academy*

სამართლებრივი ფორმა: *შეზღუდული პასივისმგებლობის საზოგადოება*

მისამართი: *ვაჟა ფშაველას გამზირი 71, თბილისი 0186 საქართველო*

დაარსების თარიღი: *2013 წელი*

საგანმანათლებლო საქმიანობის ნებართვა/ავტორიზაციის მინიჭების თარიღი:

გადაწყვეტილება №3 04.02.2015 წ.

აკადემიის დამფუძნებელი/დირექტორი *ნატალია თოლორაია*

პერსონალის რაოდენობა *27*

სასწავლო გარემოს საერთო ფართი *1020 კვ.მ*

ინტერნეტ-სივრცეში მისამართები:

ვებგვერდი: www.nataliacademy.ge

ელექტრონული ფოსტა: info@nataliacademy.ge

[Facebook.com/NataliAcademy](https://www.facebook.com/NataliAcademy)

საკონტაქტო ტელეფონები: + 995 577 507 023; + 995 577 507 034

აკადემიის ისტორია

NATALI ACADEMY არის **NATALI GROUP**-ის წევრი, რომელიც სილამაზის და ესთეტიკის სფეროში წარმატებული მოღვაწეობის ოც წელზე მეტს ითვლის. „**NATALI**“ სილამაზის სამყაროში ძლიერი, ქართული ბრენდია. ამ სახელით პირველი სილამაზის სალონი თბილისში 1995 წელს გამოჩნდა. დღეს **NATALI GROUP** მომხმარებელს სთავაზობს სილამაზისა და ჯანმრთელობის ცენტრს, რომელიც აერთიანებს - საპარიკმახერო, ფრჩხილებისა და კოსმეტოლოგიურ სერვისებს, ექსკლუზიურ სპას **Germaine de Capuccini**-სგან, სოლარიუმ კლუბს, სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც საქართველოში წამყვან ევროპულ ბრენდებს წარმოადგენს, ესთეტიკურ ცენტრს "ნატალი ანტიეიჯ კლინიკასა" და აკადემიას.

აკადემია დაარსდა 2008 წელს, „**Image Academy N**“-ის სახელით, რომელიც წარმატებით ახორციელებდა სასერტიფიკატო კურსებს სალონური მომსახურების სფეროში. დაარსებიდან დღემდე აკადემიის კურსდამთავრებულები, სალონური მომსახურების სფეროში ყველაზე მოთხოვნილი კადრია. ისინი ადვილად საქმდებიან პრესტიჟულ სალონებში და იქმნიან წარმატებულ პროფესიულ კარიერას. ამან განაპირობა, აკადემიის დამფუძნებლების გადაწყვეტილება, განეხორციელებინათ ფორმალური განათლება.

2014 წელს, აკადემიამ სახელი შეიცვალა და ეწოდა **NATALI ACADEMY**. აკადემიის ადმინისტრაციამ, **NATALI**-ის წამყვან სპეციალისტებთან და უცხოელ პარტნიორებთან ერთად, სახელმწიფო სტანდარტის საფუძველზე, შეიმუშავა სტილისტის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განსახორციელებლად მოიწვია საუკეთესო სპეციალისტები. 2015 წელს, **NATALI ACADEMY**-მ წარმატებით გაიარა ავტორიზაცია და მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N3 04.02.2015).

„ნატალი“ წარმოადგენს მსოფლიოს ცნობილი ბრენდების ექსკლუზიურ წარმომადგენელს მსოფლიო ბრენდებისა საქართველოსა და რეგიონში. აკადემია ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს შემდეგ ბრენდებთან: **GERMAINE DE CAPUCCINI, FRAMESI, CLARISSA, MALLETI, SUNTACH, DEPILEVE, TECNOSOLE, THAT-SO, SO, CAP, GOLDSIN, silverfox, saunaitalia, selenia**. იყენებს მათ პროდუქციას სასწავლო პროცესში, იმართება მასტერ-კლასები და სემინარები მსოფლიო ბრენდების ტოპ-სტილისტებისა და სპეციალისტების მიერ.

აკადემია დაარსებიდან არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის წევრი, არჩეულია ასოციაციის გამგეობაში. 2015 წელს აკადემიის საქმიანობა, ასოციაციის ბრენდირების კომისიის მიერ სამი ვარსკვლავით შეფასდა. 2016 წელს **NATALI ACADEMY** ბრენდირების უმაღლესი შეფასების, 5 ვარსკვლავის მფლობელი გახდა

NATALI ACADEMY 2015 წელს ჩაერთო WorldSkills Georgia პროექტში და მისი ოფიციალური სპონსორი გახდა. 2017 წელს, საპარიკმახერო საქმეში WorldSkills Georgia-ს რიგით მესამე ეროვნულ შეჯიბრებას თვად აკადემიამ უმასპინძლა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო აკადემიის 3 კურსდამთავრებულმა, აქედან 2 საპრიზო პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს.

Natali Academy-ს უპირატესობაა, რომ რეგიონულ სილამაზის ინდუსტრიის ბაზარზე ლიდერი ჯგუფის - **NATALI GROUP** - წევრია, რომელიც მსოფლიო ტოპ-ბრენდების - **GERMAINE DE CAPUCCINI, FRAMESI, CLARISSA, MALLETI, SUNTACH, DEPILEVE, TECNOSOLE, THAT-SO, SO, CAP, GOLDSIN, silverfox, saunaitalia, selenia** - ოფიციალურ წარმომადგენელია საქართველოსა და ამიერკავკასიაში. ჯგუფს, მრავალპროფილური ობიექტები (სილამაზის სალონები, **Natali Wellness Lab, Natali Dry Bar, Natali Anti Age Clinic, Natali Spa Concept, Natali Distribution**) და საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნია, მათ შორის არაფორმალური სწავლების, ხოლო ფორმალური განათლების სისტემაში ის 2015 წელს ჩაერთო.

აკადემია საკმაოდ მაღალი პოპულარობით სარგებლობს ქვეყნის და არა მარტო ქვეყნის მასშტაბით, რასაც ხელს უწყობს **NATALI GROUP**-ის მრავალწლიანი გამოცდილება და მაღალი რეპუტაცია. 2018 წელს, ბიზნეს

რეიტინგების კავშირისა და შვეიცარიის სარეიტინგო ასოციაციის მიერ, **NATALI GROUP**-ს საგანმანათლებლო საქმიანობაში წვლილის შეტანისათვის ჯილდო გადაეცა.

ჩვენ ვასწავლით იმას, რაც ყველაზე კარგად ვიცით.

აკადემიაში შესაძლებელია კოსმეტოლოგის, ვიზაჟისტის თმის სტილისტის, ფრჩხილის მოვლის სპეციალისტის, სპა-თერაპისტის პროფესიების დაუფლება.

ყველა დასახელებული პროფესია დღეს შრომისა და სილამაზის ინდუსტრიის ბაზარზე მოთხოვნადი და პოპულარული პროფესიებია.

აირჩიე შენი შესაძლებლობებიდან გამომდინარე და გახდი მაღალანაზღურებადი სპეციალისტი, შექმენი და ემსახურე სილამაზეს.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯის Natali Academy მისიაა, მოამზადოს საერთაშორისო სტანდარტებისა და თანამედროვე ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, სილამაზის ინდუსტრიის კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალიტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის მომსახურების/სერვისის შეთავაზებას.



NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY

ხარისხის პოლიტიკა

ჩვენს მიზანს წარმოადგენს საქმიანობისა და ხარისხის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება და ჩვენი პროდუქციის მიმართ ნდობის შენარჩუნება. ჩვენი მიზანია, თითოეულმა თანამშრომელმა, სტუდენტმა გაითავისოს ხარისხის მენეჯმენტი, პასუხისმგებლობა, რათა იყოს სხვებზე მეტად კონკურენტუნარიანი, იყოს სხვებზე მეტად თანამედროვე, საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე.



NATALI GROUP
HEALTH AND BEAUTY

ნატალია თოლორაია -

ხშირად მკითხებიან - რატომ ფორმალური განათლება, მით უფრო მაშნ, როდესაც არანაირი კანონმდებლობა ამას არ ითხოვს? ამაზე ჩემი პასუხია - სილამაზის ინდუსტრია იმდენად მზარდ და მოთხოვნად დარგებს მოიცავს, ამასთან იმდენად საპასუხისმგებლოა და ბევრი საკმარის მაღალი რისკის შემცველი მომსახურების სფეროებია, ვფიქრობ კვალიფიკაციის ფლობის გარეშე პროფესიაში შესვლა დღევანდელ დღეს უკვე აღარ უნდა ხდებოდეს. ასევე გასათვალისწინებელია ევროკავშირის და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნები, თვად კვალიფიკაციებთან, სამუშაო გარემოსთან, შრომის უსაფრთხოებასთან მიმართებით, ყველაფერი მარტივად შესაძლებელია ერთად, ფორმალური განათლების ჩარჩოებში მოექცეს. პირადად ჩემთვის მიუღებელია სამედიცინო განათლების ან პროფესიული კვალიფიკაციის გარეშე ინექციური კოსმეტოლოგიის, ლაზეროთერაპიის პროცედურების ან მასაჟისა და სპა-პროცედურების, მხოლოდ სერტიფიკატის დონეზე მიღებული ცოდნით ჩტარება. რა თქმა უნდა სხვა თემაა პროფესიული გადამზადება.

რა თქმა უნდა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს ბაზარზე სამუშაო გამოცდილებით საკმარის ბევრი პროფესიონალი არის. თუმცა, მჭამს, რომ ეს ის ადამიანებია, რომლებიც მუდმივად სიახლეების შესწავლაში არიან, სილამაზის ინდუსტრიის პროფესიები, სხვებისგან ამითავე გამოირჩევა, ძალიან სწრაფად იცვლება როგორც ტექნოლოგიები ისე პროდუქცია. რაც შეეხება რეგულაციებს ამას არც დღეს ითხოვს ქართული კანონმდებლობა. თუმცა მომავლის პერსპექტივაში, ადრე თუ გვიან ეს ასე იქნება.

- რატომ დაარსდა ნატალი აკადემია? - ჩვენი ერთგული მომხმარებელისთვის კომპანიის ისტორია კარგადაა ცნობილი. 1995 წელს დავარსდით და ისე მოხდა, რომ პოპულარული მალე გახდა, საჭირო გახდა მასშტაბების გაზრდა, რაც პროფესიონალი კადრის მოძიებას გულისხმობდა, რომ მაღალი დონის სერვისი შეგვეთავაზებინა. ეს კი, სერიოზული პრობლემაა დღესაც, არა თუ მაშინ, იმ წლებში. სწორედ ამიტომ, თავად დავიწყეთ საკუთარი კადრის მომზადება და გაზრდა. შემდეგ უბრალოდ გაჩნდნენ მსურველები ნატალის სპეციალისტებთან მომზადებისა თუ კვალიფიკაციის ამაღლების და ყოველივე ამან, გვიბიძგა შეგვექმნა სასწავლო ცენტრი, რამაც საბოლოოდ ის სახე მიიღო, რაც დღეს გვაქვს.

- ვამაყოფთ, რომ ჩვენ მიერ მომზადებულ კადრზე მოთხოვნა მაღალია. თუმცა მასშტაბები მაინც მოკრძალებული გვაქვს. ეს ჩვენი ე.წ. ნიშანია, ერთგვარი ფილტრი. ჩვენთვის საინტერესო უფრო ხარისხია, ვიდრე რაოდენობა. შეუძლებელია ამ პროფესიების შესწავლა დიდ ჯგუფებში. სწავლება ძალიან სპეციფიკურია, პედაგოგს ფაქტობრივად ინდივიდუალური მუშაობა უწევს თითოეულთან, სწორედ ეს განაპირობებს ხარისხიანი კადრის მომზადებას.

- ხარისხი ყველა ჩვენგანის პასუხისმგებლობაა.

- ჩვენ ვამაყოფთ ჩვენი გუნდით, ჩვენი სტუდენტებითა და კურსდამთავრებულებით.

- ჩვენ ერთად ვქმნით მომავლის სპეციალისტებს.

პროექტები



NATALI ACADEMY წარმატებით არის ჩართული სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც ახორციელებს ქალისა და მამაკაცის სტილისტისა და სტილისტი კოლორისტის მოკლევადიან პროგრამებს. პროგრამებზე სწავლა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს ვინც, შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო პორტალზე რეგისტრირებული www.worknet.gov.ge

ინტერნეტ-პორტალი, რომელსაც ჯანდაცვის სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო მართავს, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით შეიქმნა და უმუშევრობის დონის შემცირებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და შრომის ბაზარზე მიმდინარე ძირითადი ტენდენციების გამოვლენას ემსახურება.

პორტალზე რეგისტრირებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ განათავსონ ინფორმაცია საკუთარი სურვილების შესახებ, მოიძიონ ვაკანსია, სასურველი პროგრამა კომპეტენციებისა და ცოდნის გაღრმავების ან/და შეძენისათვის.

2017-2018 წლების მოსარგებლეთა საერთო მაჩვენებლები

პროგრამის დასახელება	პროგრამაზე დარეგისტრირებული მოსარგებლის რაოდენობა	მოსარგებლეთა რაოდენობა, რომლებმაც დაასრულეს პროგრამა
ქალის სტილისტი	36	36
მამაკაცის სტილისტი	10	8
სტილისტი კოლორისტი	10	9
ჯამი:	56	53

სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამა

NATALI ACADEMY-მ 2017 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების პროგრამის“ ფარგლებში განახორციელდა ორი პროექტი

სსიპ N51 ზოგადსაგანმანათლებლო და სსიპ ქალაქ თბილისის N58 საჯარო სკოლებში. პროექტების მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული განათლებისა და სილაბაზის სფეროს სპეციალობების პოპულარიზაცია, სკოლის მოსწავლეებში სტილისტის პროფესიისა და თანამედროვე ტენდენციების გაცნობა, ვარცხნილობების შესრულების საბაზისო კომპეტენციებისა და შემოქმედებითი უნარის განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროექტების ფარგლებში საჯარო სკოლებში გარემონტდა და მოეწყო სტილისტის პროფესიითვის სასწავლო-სამუშაო სივრცეები.

პროექტები განხორციელდა მოსწავლეთა მაღალი დაინტერესებითა და ჩართულობით. პროექტის ბოლო მეცადინეობა ატარებდა კონკურსის ხასიათს, სადაც მოსწავლეებმა, შეძენილი ცოდნა-უნარების გამოყენებით, საკუთარი ფანტაზიით შეასრულეს ვარცხნილობები. გამოვლინდა საუკეთესო ვარცხნილობის შემსრულებელი, რომელიც დაჯილდოვდა პრიზით „პროფესიონალის ფენი“. პროექტის ყველა მონაწილეს გადაეცა სერტიფიკატი და 20%-იანი ფასდაკლების ვაუჩერი, აკადემიის ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის შემთხვევაში.

სერტიფიკატები გადაეცათ ასევე პროექტში ჩართულ მასწავლებლებს.



NATALI ACADEMY World Skills Georgia-ს

სკონსორი

NATALI ACADEMY NATALI GROUP-თან ერთად 2013 წლიდან WorldSkills Georgia-ს ოფიციალური სკონს ორია.

WorldSkills International არაკომერციული ორგანიზაციაა, რომელიც 1953 წელს დაარსდა და 77 ქვეყანას აერთიანებს. თუმცა, პროფესიულ უნარებში შეჯიბრების ისტორია, გაცილებით ადრე დაიწყო.

1947 წელს ესპანეთში პირველი ნაციონალური კონკურსი ჩატარდა, რომლის ორგანიზატორი იყო **ხოსე ანტონიო ელოლა ოლასო**. სწორედ მას მიიჩნევენ WorldSkills-ის დამფუძნებლად. ოლასოს მიერ ორგანიზებული შეჯიბრების მიზანი იყო, სახელობო პროფესიების პოპულარიზაცია, პროფესიული განათლების ეფექტურობის, სპეციალისტების უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ამაღლება. ოლასოს მიერ ორგანიზებული კონკურსით, პირველი პორტუგალია დაინტერესდა, შემდეგ სხვა ქვეყნები და 1953 წელს ჩამოყალიბდა საერთაშორისო კონკურსი, რომლის დევიზია - **Improving the world with the power of skills** - მსოფლიოს სრულყოფა უნარების ძალით.



პროექტია, რომლის მიზანი საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, ხარისხის გაუმჯობესება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოებაა. 2012 წლიდან WorldSkills Georgia, WorldSkills International-ის წევრია.

საქართველოში ეროვნული შეჯიბრება პროფესიულ უნარებში - WorldSkills Georgia – 2012 წელს დაიწყო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი



NATALI ACADEMY, NATALI GROUP-თან ერთად, 2013 წლიდან პროექტის სკონსორია. ამ პროექტის ფარგლებში გადამზადდნენ ეროვნული ექსპერტებიც, რომელთა რიცხვში აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელი ნათია მორჩილაძეცაა.

2017 წელს, საპარიკმახერო საქმეში, WorldSkills Georgia-ს რიგით მესამე ეროვნულ შეჯიბრებას **NATALI ACADEMY-8** უმასპინძლა. კონკურში მონაწილეობა აკადემიის 3 კურსდამთავრებულმა მიიღო:

ქრისტინა პარუნოვა, კარინა ჯუმუტია, მარიამ პირველი.

აკადემიის კურსდამთავრებულებმა საუკეთესო შემოქმედებითი უნარი და პროფესიონალიზმი გამოავლინეს. ორმა მათგანმა საპრიზო ადგილებიც დაიკავეს:

ქრისტინა პარუნოვა - I ადგილი

მარიამ პირველი - II ადგილი.

2017 წელს **NATALI ACADEMY-ს** დირექტორი და დამფუძნებელი ქ-ნი **ნატალია თოლორაია** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პროექტის მხარდაჭერისა და საპარიკმახერო საქმის პროფესიულ უნარებში ეროვნული შეჯიბრის ორგანიზებისთვის, საპატიო სიგელით დააჯილდოვა.

არც კი ვიცი რა უნდა ვთქვა, ჯერ თითქოს ვერც ვაცნობიერებ. როცა კონკურსის შესახებ შევიტყუე, მეგობრებმა გადავწყვიტეთ მონაწილეობის მიღება, უცნაურიც იყო, აქ ერთმანეთის მეტოქეები უნდა ვყოფილიყავით, შევჯიბრებოდით, თუმცა არც მანამდე, არც კონკურსის დროს და არც ახლა, არ ვგრძნობთ თავს მეტოქეებად.

აკადემიამ, კარგი მეგობრები და ის პროფესიონალები შემძინა, ქალბატონი ნატალიას, ქალბატონი ლენას და ყველა მასწავლებლის სახით, რომლებმაც ყველაფერი გაიღეს ჩვენი დახელოვნებისათვის, ისინი ყოველთვის მზად არიან, ჩვენი დახმარებისა და განვითარებისთვის.

ახლა, ამ კონკურსის მერე ზუსტად ვიცი, რომ ამ წარმატების საფუძველი ნატალია აკადემიაა, ჩვენი აქ გატარებული დრო, რომელიც უქმად არ დაგვიკარგავს. აქ, ჭეშმარიტად თანამედროვე მოთხოვნებს გვაზიარეს.

ქრისტინა პარუნოვა



პროფესიები, რომელთა დაუფლებაც, აკადემიაში შეგიძლიათ

თმის სტილისტი/პარიკმახერი

საპარიკმახერო საქმე კლასიკური გაგებით, გულისხმობს თმის შეჭრას, ვარცხნილობებს, თმის შეღებვასა და ქიმიურ დახვევას.

საპარიკმახერო საქმე, ჩვენს თანამედროვეობაში ხელოვნებად იქცა და ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული, მოთხოვნადი და მაღალანაზღაურებადი პროფესია გახდა. გაიზარდა მოთხოვნებიც. დღეს ჭეშმარიტი პარიკმახერი, კლიენტს იღებს და განიხილავს მთლიანობაში - როგორც ამბობენ, თავიდან ფეხამდე, ვარცხნილობის შერჩევისას ითვალისწინებს სახისა და ნაკვეთების, სხეულის ფორმებს, სახის ფერს, საერთო გარეგნობას. პარიკმახერები და სტილისტები არა მხოლოდ თმას ჭრიან და ვარცხნიან, არამედ ქმნიან ახალ იერს. მათი მთავარი ამოცანაა, კლიენტი გაალამაზონ. ამიტომაც ეწოდა ამ მიმართულებას, *სილამაზის მომსახურების სფერო, დამკვიდრდა ახალი, სილამაზის ინდუსტრია.*

როგორც ისტორიიდან ირკვევა, პროფესია უძველესია. მიიჩნევენ, რომ პირველად პარიკმახერი, როგორც სპეციალისტი გაჩნდა ძვ. ეგვიპტეში. რაც შეეხება პირველ პროფესიულ სკოლას, ის ამერიკაში, 1893 წელს ჩიკაგოში გაიხსნა.

პარიკმახერის მოვალეობები:

- თმის შეჭრა, თმის ღებვა, თმის დავარცხნა, დახვევის სამუშაოები, თმის დაწვნა;
- თავის მასაჟი, თავისა და თმის სპა პროცედურები;
- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა.

გარდა ამისა, ხშირად შეიძლება მოუწიოთ თმის მოვლის საშუალებების გაყიდვა.

თმის მოვლის თანამედროვე პროცედურები ძალზე მრავალმხრივია. ძნელია, ისეთი უნივერსალური სპეციალისტის ნახვა, რომელიც ყველაფერს ერთნაირად, მაღალი ხარისხით ასრულებს. საპარიკმახერო საქმის მაღალი ხარისხით შესრულება მოითხოვს დროს და ცალკეული მიმართულებით ხანგრძლივ სპეციალიზაციას. ამიტომაც გაჩნდა სფეროში, სპეციალისტთა სხვადასხვა კატეგორიები:

დღეს, ყველაზე მოთხოვნადი **ფართო პროფილის პარიკმახერია**, რომელიც ფლობს, როგორც ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობებს, ისე შეღებვის ხელოვნებას.

კოლორისტი - ფერებისა და საღებავების შერევისა და ფერთა გამის/კოლორის შერჩევის სპეციალისტი. ზოგიერთ სფეროში, კოლორისტისთვის აუცილებელია სპეციალური ტექნოლოგიური განათლება, რომელსაც შეუძლია ახალი ფერებისა და მათი შერევის რეცეპტურის შექმნა-შემუშავება, მათ კოლორისტ-ტექნოლოგებს უწოდებენ.

კოლორისტ-შემსრულებელი, კი არსებული ტექნოლოგიური რუკებისა და რეცეპტურის გამოყენებით ასრულებს თმის სხვადასხვა სირთულის შეღებვას. კოლორისტმა კარგად უნდა იცოდეს ფერების თვისებები, მათი შერევის მეთოდები, პრეპარატებისა და გამხსნელების დოზები და ხარჯვის ნორმები.

ბრეიდერი - განსაკუთრებული სპეციალიზაციაა, რომელიც აფრიკულ ნაწნავებს, დრედებს აკეთებს.

მამაკაცის სტილისტი - სპეციალიზებულია მხოლოდ მამაკაცის წვერ-ულვაშის მოვლასა და ვარცხნილობებზე;

ბარბერი - მამაკაცის სპეციალისტია, რომელიც წვერ-ულვაშის მოდის განვითარებასთან ერთად, სულ უფრო პოპულარული და მოთხოვნადია. ბარბერის სპეციალისტები (ე.წ. „ბარბერშოპი“), წვერ-ულვაშის მოდელირებით, მამაკაცის იერის ვირტუოზი შემოქმედები არიან. თავდაპირველად ამ საქმიანობით მხოლოდ მამაკაცები იყვნენ დაკავებულები, თუმცა დრომ გენდერული კვალი წაშალა და ახლა მას ქალებიც წარმატებით ეუფლებიან.

ბავშვების პარიკმახერი - ეს გამორჩეული კატეგორიის მომხმარებელია, რომლებთან სამუშაოდ, გარდა მაღალი საშემსრულებლო ტექნიკისა განსაკუთრებული კომუნიკაციის უნარია საჭირო.

პარიკმახერ-სტილისტი - ე.წ. **პარიკმახერ-ტექნოლოგი**, რომელიც **ოსტატობის ყველაზე მაღალი დონეა**. ის სტანდარტულ ვარცხნილობებთან ერთად ასრულებს ავანგარდულ, კრეატიულ და სადამოს ვარცხნილობებსა და სპექტრალურ შეღებვას.

მიუხედავად სპეციალიზაციისა და ოსტატობისა, ნებისმიერი სპეციალისტის ამოცანაა შექმნას კლიენტის ჰარმონიული ეირი, მისი გარეგნობის, ხასიათისა და ცხოვრების სტილის გათვალისწინებით.

დასაქმების სფერო

პარიკმახერი შეიძლება დასაქმდეს საპარიკმახეროებში, სილამაზის სალონებსა და სტუდიებში, თეატრებსა და ტელევიზიებში.

გამოცდილი სპეციალისტები თავად ასწავლიან საპარიკმახერო საქმეს, ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებსა და მასტერ-კლასებს.

სამუშაო გარემო და პროფესიის უარყოფითი მხარეები

- ფეხზე დიდხანს დგომა, რაც ქმნის პროფესიული დაავადების შემენის რისკს - ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ართრიტი, ართროზი, ხერხემლის დაავადებები.
- ხმაურუანი გარემო - სმენის დაქვეითება.
- ქიმიკატებთან და საღებავებთან მუშაობა - ქმნის პროფესიული დაავადების (სასუნთქი სისტემის დაავადებები) შემენის რისკს -

მოთხოვნები პროფესიისადმი

პარიკმახერი უნდა გამოიჩინოს კარგი გემოვნებით, მხედველობით, ფერის შეგრძნებითა და თვალის ზომით, ასევე ფიზიკური ამტანობით, მოქნილი მოტორიკით, ჯანმრთელი საყრდენ-მამოძრავებელი სისტემით, შრომისმოყვარეობითა და სისუფთავით. ამასთან უნდა იყოს კრეატიული, კომუნიკაბელური, ტაქტიანი. გარდა ამისა, საპარიკმახერო საქმე, მეტად დინამიურად ვითარდება, მუდმივად ჩნდება სიახლეები (ახალი ტექნოლოგიები, პროდუქცია, ინსტრუმენტები და სხვა), ამიტომ პარიკმახერი მუდმივად უნდა იყოს სიახლეების ძიებასა და შესწავლაზე ორიენტირებული.

როგორ გახდე პარიკმახერი?

- გახდი პროფესიული სტუდენტი, დაეუფლე პროფესიას და მოიპოვე პროფესიული კავიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში.
პროფესიული სტატუსის მოსაპოვებლად, საკმარისია საბაზო განათლება (ზოგადი განათლების ცხრა კლასის დასრულება).
- ან
- პროფესიის სხვადასხვა სპეზიალიზაციით დახელოვნებისთვის გაიარე პროფესიული მომზადების ან გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები.

საყრდენ-მამოძრავებელი, სისხლ-ძარღვოვანი სისტემებისა და ალერგიული დაავადებების მქონე პირთათვის პროფესიაში შესვლა არ არის რეკომენდებული.

პარიკმახერის ანაზღაურება

პარიკმახერის ანაზღაურება თვეში საშუალოდ მერყეობს 800 ლარიდან 2000 ლარამდე. რასაც ემატება ბონუსი, გაყიდული პროდუქციიდან. საკუთარი სალონის გახსნის შემთხვევაში შემოსავალი გაცილებით მაღალია.

შემოსავალი დაკავშირებულია ქალაქზე, მის სიდიდეზე, სალონის პრესტიჟულობაზე, პროდუქციის ხარისხსა და რაღა თქმა უნდა სპეციალისტის პროფესიონალიზმზე.



კოსმეტოლოგია

კოსმეტოლოგების ძირითადად საქმიანობა დაკავშირებულია ადამიანის კანის საფარველთან, ადამიანის სახისა და სხეულის მოვლასთან, კოსმეტიკური დეფექტების აღმოფხვრასა და მისთვის ჯანმრთელი, ახალგაზრდა და მოვლილი იერის მიცემის მიზნით.

დღეს-დღეობით კოსმეტოლოგის მომსახურება ყველასთვის ხელმისაწვდომია, ვინც ზრუნავს საკუთარ გარეგნობასა და ჯანმრთელ იერზე. სწორედ ამიტომ კოსმეტოლოგი, ერთ-ერთი მოთხოვნი პროფესიაა.

კოსმეტოლოგებზე მოთხოვნა განსაკუთრებით მაღალია დიდ ქალაქებში, მით უფრო საკურორტო ზონებში - სილამაზის სალონებსა და საპარიკმახეროებში, სპა, სამედიცინო ცენტრებსა თუ კოსმეტიკურ კაბინეტებსა და სალონებში.

კოსმეტოლოგია -
ბერძნული სიტყვაა
და ნიშნავს
kosmetike - მორთვის
ბელოვნება,
logos - მოძღვრება

კოსმეტოლოგის პროფესიული მოვალეობებია:

- სახის ესთეტიკური კოსმეტოლოგია: წმენდა, მოვლა, მასაჟი, წარბისა და წამწამის კორექცია და მათი შეღებვა.
 - სხეულის (დეკოლტე) ესთეტიკური კოსმეტოლოგია: ეპილაცია, სპა და სხეულის კორექციის პროგრამების განხორციელება;
 - პაციენტების/კლიენტების კონსულტირება სახისა და სხეულის მოვლის შესახებ;
 - პროცედურებთან/საქმიანობასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტაციის მართვა-გაფორმება.
 - სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- გარდა ამისა, ხშირად კოსმეტოლოგები საქმიანობენ სხვა მიმართულებითაც:
- წამწამების დაგრძელება;
 - პროფესიული, კოსმეტიკური საშუალებების გაყიდვა.

როგორ გახდე კოსმეტოლოგი?

- თუ გაქვს სამედიცინო განათლება, გაიარე პროფესიული გადამზადების კურსი და შეიძინე კოსმეტოლოგის პროფესია.
ან
- გახდი პროფესიული სტუდენტი, დაეუფლე პროფესიას და მოიპოვე პროფესიული კვალიფიკაცია სილამაზის მომსახურების სფეროში. პროფესიული სტატუსის მოსაპოვებლად, საკმარისია საბაზო განათლება (ზოგადი განათლების ცხრა კლასის დასრულება).

მოთხოვნები პროფესიისადმი

კარგი მხედველობა, მოქნილი მოტორიკა, შრომისა და სისუფთავის მოყვარეობა, კომუნიკაბელობა და ტაქტიანობა.

საყრდენ-მამოძრავებელი, სისხლ-ძარღვოვანი სისტემებისა და ალერგიული დაავადებების მქონე პირთათვის პროფესიაში შესვლა არ არის რეკომენდებული.

კოსმეტოლოგის ანაზღაურება

კოსმეტოლოგის ანაზღაურება თვეში საშუალოდ მერყეობს 800 ლარიდან 3000 ლარამდე, რასაც ემატება გაყიდული პროდუქციის ბონუსი. საკუთარი კოსმეტიკური კაბინეტის გახსნის შემთხვევაში, შემოსავალი გაცილებით მაღალია.

კოსმეტოლოგის შემოსავალი დაკავშირებულია ქალაქზე, მის სიდიდეზე, სალონის პრესტიჟულობაზე, პროდუქციის ხარისხსა და რაღა თქმა უნდ, სპეციალისტის პროფესიონალიზმზე. თუმცა, კვალიფიციური სპეციალისტის სტატუსი, არაა მხოლოდ დიპლომის ან სერტიფიკატის ფლობა, მასთან ერთად, აუცილებელია მუდმივად ცოდნის განახლება და სრულყოფა.



SPA-თერაპისტი/სპეციალისტი

SPA - პოპულარული და მოდურია, ყველასთან, ვისაც საკუთარ სხეულსა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა უყვარს. ამ აბრევიატურასა და პროცედურებს ღირსეული ადგილი უკავია ტურისტულ ბიზნესშიც.

SPA, წყლით გაჯანსაღების საინტერესო კულტურა, პროცედურები და რიტუალია, რომელიც ადრეულ ხანაში ჩაისახა და შემდეგ თაობიდან თაობებსა და კულტურებს გადაეცემოდა.

SPA პროცედურები მიმართულია ორგანიზმის გაჯანსაღება-რელაქსაციისთვის. კანის ზედაპირზე სხვადასხვა კომპონენტებით ზემოქმედებას ააქტიურებს ნივთიერებათა ცვლას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, გამოდევნის ტოქსინებსა და შლაკებს, აუმჯობესებს განწყობას, კანის მდგომარეობას. SPA პროცედურები, აკაჟებს და აახალგაზრდავებს ორგანიზმს, მატებს სიმბნევეს, ენერჯიას, უნარჩუნებს მას სილამაზესა და ჯანმრთელობას.

ტერმინის „SPA„ წარმოშობის ერთ-ერთ ვერსიას რომის იმპერატორ ნერონსა და მის მიერ გამოთქმულ ლათინურ ფრაზას

“Sanus Per Aquam”

უკავშირებენ, რაც „წყლით ჯანმრთელობას“ ნიშნავს.

SPA სულ უფრო პოპულარული, ხოლო სპეციალისტები კი მოთხოვნადი ხდება სილამაზის ინდუსტრიაში, რასაც ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებაც, იქმნება არა სპა-სალონები, სპა-სასტუმროები, სპა-კურორტები, იგეგმება სპა-ტურები და ა.შ.

როგორ გახდე SPA-თერაპისტი/სპეციალისტი?

- თუ გაქვს სამედიცინო განათლება, გაიარე პროფესიული გადამზადების კურსი და შეიძინე SPA-თერაპისტის/სპეციალისტის პროფესია.

ან

- გახდი პროფესიული სტუდენტი, დაეუფლე პროფესიას და მოიპოვე პროფესიული კავიფიკაცია სილამაზის მომსახურების სფეროში. პროფესიული სტატუსის მოსაპოვებლად, საკმარისია საბაზო განათლება (ზოგადი განათლების ცხრა კლასის დასრულება).

მოთხოვნები პროფესიისადმი

SPA-სპეციალისტი უნდა გამოირჩეოდეს ფიზიკური ამტანობით, მოქნილი მოტორიკით, შრომისმოყვარეობითა და სისუფთავით. ამასთან უნდა იყოს კომუნიკაბელური, ტაქტიანი.

საყრდენ-მამოძრავებელი, სისხლ-ძარღვოვანი სისტემებისა და ალერგიული დაავადებების მქონე პირთათვის პროფესიაში შესვლა არ არის რეკომენდებული.

SPA-სპეციალისტის ანაზღაურება

SPA-სპეციალისტის ანაზღაურება თვეში საშუალოდ მერყეობს 1500 ლარიდან 3000 ლარამდე. რასაც ემატება გაყიდული პროდუქციიდან ბონუსი. კერძო პრაქტიკის ან საკუთარი SPA კაბინეტის/სალონის გახსნის შემთხვევაში, შემოსავალი გაცილებით მაღალია.



ვიზაჟისტი

ვიზაჟისტი მოდის ინდუსტრიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროფესიაა.

ვიზაჟისტი სპეციალისტია, რომელიც დეკორატიული კოსმეტიკის გამოყენებით ფარავს სახის ნაკლოვანებებს, გამოკვეთს მის ექსპრესიულ ნაკვეთებს და ქმნის ლამაზ, იდეალურ იერს.

კარგი ვიზაჟისტი, მაკიაჟის შექმნისას მუდამ ორიენტირებულია უახლეს ტენდენციებზე, კლიენტის მოთხოვნაზე, მის სტილზე, ინდივიდუალურ თავისებურებებსა (სახისა და ნაკვეთების ფორმები, სახისა და თვალის ფერი, გარეგნული იერი, ტიპაჟი) და თავად მაკიაჟის მიზანზე.

ვიზაჟისტი მაკიაჟს ასრულებს სხვადასხვა დანიშნულებით: სადღესასწაულო, საქორწინო, ფოტო თუ ტელე გადაღებებისთვის, პოდიუმისთვის, საქმიანი შეხვედრისა და სხვა ღონისძიებებისთვის.

ბევრი ვიზაჟისტი ამყოფს იმით, რომ მუშაობა ცნობილ ადამიანებთან, ხოლო დაკვეთის შესასრულებლად, საინტერესო მოგზაურობები უწყევთ მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქებში, იქნება ეს პარიზი, მილანი თუ სხვა.

დასაქმების სფერო

ვიზაჟისტები მუშაობენ სილამაზის სალონებში, თეატრში, ტელე, კინო, ფოტო სტუდიებსა და სამოდელო სააგენტოებში, ან თავად მოიძიებენ დაკვეთებს სხვადასხვა კონკურსებსა და მსგავს ღონისძიებებზე.

ვიზაჟისტი პროფესიული მოვალეობები

- კონკრეტული ვიზუალისა და მაკიაჟის შექმნა;
- ფერების შერჩევა სახის კანისა და გარეგნობის გათვალისწინებით;
- კლიენტების კონსულტირება გამოყენებული პროდუქციის, მაკიაჟის შესრულების ტექნოლოგიისა და ა.შ. შესახებ;
- სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა;

ამ მოვალეობებს, ხშირად ერთვის დეკორატიული კოსმეტიკის გაყიდვა.

გამოცდილი სპეციალისტები თავად ასწავლიან და ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებსა და მასტერ-კლასებს.

ვიზაჟისტის პროფესიული მოთხოვნებია:

- სხვადასხვა სტილის მაკიაჟის შესრულების ტექნიკის ცოდნა;
- ფერებისა და სამუშაო მასალის შერჩევის მეთოდები;
- სამუშაო მასალის, ინსტრუმენტების დანიშნულება და მათი გამოყენება;
- კლიენტთან ეფექტური კომუნიკაცია;
- ვიზაჟისა და მოდის უახლესი ტენდენციების ცოდნა.
- სასურველია ვიზაჟისტს შეეძლოს ხატვა.

ვიზაჟისტს უნდა შეეძლოს არა მარტო მაკიაჟის გაკეთება, არამედ იმიჯის შექმნაც.

მაღალი კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის შესანარჩუნებლად ვიზაჟისტები სისტემატურად ზრუნავენ კვალიფიკაციის ამაღლებასა და პრაქტიკის გაუმჯობესებაზე. ესწრებიან მასტერ-კლასებსა და სემინარებს, მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის კონკურსებში.

როგორ გახდე ვიზაჟისტი?

პროფესიის დაუფლება, ერთი შეხედვით მარტივია, მოკლე სასერტიფიკატო კურსის ფგავლა ან სპეციალისტთან კერძო გაკვეთილების მიღება, თუმცა ეს მხოლოდ ვიზაჟის ანბანის ცოდნას მოგცემთ და შესაძლოა მხოლოდ ჩვეულებრივ სალონში, ერთ-ერთი რიგითი სპეციალისტად დარჩეთ მუდამ.

- გახდი პროფესიული სტუდენტი, დაეუფლე პროფესიას და მოიპოვე პროფესიული კავიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში.
- პროფესიული სტატუსის მოსაპოვებლად, საკმარისია საბაზო განათლება (ზოგადი განათლების ცხრა კლასის დასრულება).
- ან
- სილამაზის სფეროს სხვა პროფესიის შემთხვევაში გაიარე პროფესიული მომზადების ან გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები.

პროფესიული შეზღუდვები - ხელის მოტორიკის დარღვევების, მხედველობის მკვეთრი დეფექტისა და ფერების შერჩევის ანომალიის (დალტონიზმი) მქონე პირთათვის პროფესიაში შესვლა არ არის რეკომენდებული.

ვიზაჟისტის ანაზღაურება

პარიკმახერის ანაზღაურება თვეში საშუალოდ მერყეობს 800 ლარიდან 2000 ლარამდე. რასაც ემატება გაყიდული პროდუქციიდან ბონუსი. საკუთარი სტუდიის გახსნისა და პედაგოგიური მოღვაწეობის შემთხვევაში ვიზაჟისტის შემოსავალი გაცილებით მაღალია.



აკადემია სასწავლო პროცესში იტალიური ბრენდის Cinecitta maceup პროდუქციას იყენებს. პროდუქცია ფიტოა და არ იწვევს ალერგიას.

ჩინეჩიტა - Cinecitta – „კინოს ქალაქი“ -
კონოსტუდიის კომპლექსია რომში,
რომელიც განთავსებულია 400 000 კვ. მ-ზე
და ყველაზე დიდი კინოსტუდია ევროპაში.

მანიკურისა და პედიკურის სპეციალისტი

ხშირად, მანიკურ-პედიკურის სპეციალისტს აღიქვამენ, როგორც მხოლოდ ფრჩხილის დიზაინის ოსტატს. სინამდვილეში ამ პროფესიის სპეციალიტები დაკავებულები არიან ხელისა და ტერფის მოვლის პროცედურებითა და ფრჩხილების დიზაინით. ისინი ზრუნვენ მათ ჰიგიენურ და ესთეტიკურ იერზე. სწორედ ამიტომ თანამედროვე სილამაზის ინდუსტრიაში მათ „ფრჩხილის სერვისის“ ოსტატებსაც უწოდებენ.

თანამედროვე ფრჩხილის სერვისი მრავალფეროვანია, მტევნისა და ტერფის კანისა და ფრჩხილების ჰიგიენური დამუშავებიდან, მასაჟითა და სპა პროცედურებით დამთავრებული.

მრავალფეროვანია ასევე მანიკურის შესრულების ტექნიკა და დიზაინი: **კლასიკური მანიკური**, რომელიც გულისხმობს ხელის ნუნების წყალში დაღობობასა და მაკრატილით მათ მოცილებას;

ევროპული მანიკური - კუტიკულის მოშორება და დამუშავება ხდება ფორთოხლის ჩხირებითა და სპეციალური აპარატით.

იაპონური მანიკური - ხელისა და ტერფის მოვლის კომპლექსია, რომელიც სრულდება სპეციალური, ნატურალური საშუალებებით.

ფრანგული მანიკური - ფრჩხილის თავისუფალი არე იფარება თეთრი ლაქით.

ესპანური მანიკური - გამოირჩევა მკვეთრი, გაჯერებული ფერების დიზაინით.

ამერიკული მანიკური - გამოირჩევა ფრჩხილის ლაქისა და ტუჩის საცხის ფერების საგულდაგულო შერჩევით.

ფრჩხილის დიზაინი - არ შემოიფარგლება მხოლოდ სხვადასხვა ფერის ლაქის დატანით. თანამედროვე მანიკური გულისხმობს როგორც დიზაინის, ასევე ფრჩხილის ხელოვნურად დაგრძელების სხვადასხვა ტექნოლოგიებს: აკრილით, გელით, ტიფსებით. აქ უკვე სპეციალისტისთვის ფრჩხილი, ისევეა, როგორც „მხატვრისთვის ტილო“, და საკუთარი ფანტაზის წყალობით ქმნიან სხვადასხვა დიზაინს, ნახატს, ხშირ შემთხვევაში საავტოროსაც კი.

დასაქმება

მანიკურ-პედიკურის სპეციალისტები შესაძლებელია დასაქმდნენ სილამაზისა და ესთეტიკის ცენტრებსა და სალონებში. „ნაილ ბარებსა“ და „ნაილ არტ“ ფრჩხილის მოვლის სპეციალიზებულ სალონებში.

პროფესიის სპეციალური მოთხოვნები

ფრჩხილის მოვლის ხელოვნება მოითხოვს ხელის ნატიფ მოტორიკასა და მოძრაობების კოორდინაციას. დახვეწილ გემოვნებას, ფერთა აღქმის, განსხვავებულ ადამიანებთან ეფექტური კომუნიკაციისა და შრომატევად სამუშაო რეჟიმთან ადაპტირების უნარებს.

ცოდნა და უნარები

მანიკიურ-პედიკიურის სპეციალისტი უნდა ფლობდეს: მანიკიურ-პედიკიურის, სპა და მასაჟის პროცედურების შესრულების ტექნოლოგიებსა და ხატვის ტექნიკას. უნდა იცნობდეს სამუშაოთა შესრულების სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს, კანისა და ფრჩხილის აგებულებას, დაავადებებს, დეფექტებს და მათთან მუშაობის სპეციფიკას; ასევე თანამედროვე მოდას, მანიკიურის ტრენდებს, მასალებსა და ტექნოლოგიებს.

პრესტიჟულ სალონებსა და ფრჩხილის მოვლის სპეციალიზებულ სალონებში დასაქმებისთვის აუცილებელია ფრჩხილის ხელოვნური დაგრძელებისა და დიზაინის თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა.

როგორ გახდეთ მანიკიურ-პედიკიურის სპეციალისტი?

პროფესიის დაუფლება, ერთი შეხედვით მარტივია, მოკლე სასერტიფიკატო კურსის გავლა ან სპეციალისტთან კერძო გაკვეთილების მიღება, თუმცა ეს მხოლოდ პროფესიის ანბანის ცოდნას მოგცემთ და შესაძლოა მხოლოდ ჩვეულებრივ სალონში, ერთ-ერთი რიგითი სპეციალისტად დარჩეთ მუდამ.

- საბაზო განათლების საფუძველზე გახდით პროფესიული სტუდენტი, დაეუფლეთ პროფესიას და მოიპოვეთ პროფესიული კავიფიკაცია სილამაზის მომსახურების სფეროში.
ან
- სილამაზის სფეროს სხვა პროფესიის ფლობის შემთხვევაში გაიარეთ პროფესიული მომზადების ან გადამზადების მოკლევადიანი პროგრამები.

პროფესიული შეზღუდვები - ხელის მოტორიკის დარღვევების, მხედველობის მკვეთრი დეფექტისა და ფერების შერჩევის ანომალიის (დალტონიზმი) მქონე პირთათვის პროფესიაში შესვლა არ არის რეკომენდებული.

მანიკიურ-პედიკიურის სპეციალისტის ანაზღაურება

ანაზღაურება თვეში საშუალოდ მერყეობს 600 ლარიდან 1500 ლარამდე. ფრჩხილის მოვლის საკუთარი სალონის გახსნის შემთხვევაში შემოსავალი გაცილებით მაღალია. შემოსავალი დაკავშირებულია ქალაქზე, მის სიდიდეზე, სალონის პრესტიჟულობაზე, პროდუქციის ხარისხსა და რაღა თქმა უნდა სპეციალისტის პროფესიონალიზმზე.

სალონის ადმინისტრატორი

სტატისტიკის მიხედვით მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეობის 50% სალონის მომსახურებით სარგებლობს. სილამაზის ინდუსტრიის მუშაკთა რიცხვი სულ უფრო იზრდება, ამან გამოიწვია სილამაზის მომსახურების ობიექტების დღევანდელი სახე და გაზარდა მოთხოვნა მათ მართვასა და ადმინისტრირებაზე.

სალონის ადმინისტრატორის მოვალეობების შესრულება, მარტივი არ არის. ის არ გულიხმობს მხოლოდ სპეციალისტების საქმიანობის კოორდინაციასა და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტას. ადმინისტრატორი - სალონის სახეა, „სავიზიტო ბარათი“, სწორედ მისგან იწყება სალონში ვიზიტი.

ადმინისტრატორი ხვდება მომხმარებლებს, სთავაზობს და ურჩევს პროცედურებს, მომსახურების სახეებს, ახორციელებს ფინანსურ ანგარიშსწორებებს.

დასაქმება

სილამაზის ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ ადმინისტრატორზე მოთხოვნა გაზარდა.

ადმინისტრატორად შესაძლებელია დასაქმება:

- საპარიკმახეროებსა და სილამაზის სალონებში;
- მანიკურისა და პედიკურის სალონებში;
- ესთეტიკური სილამაზის ცენტრებში;
- სპა-ცენტრებში;
- ფიტნეს-კლუბებში.

სალონის ადმინისტრატორის მოვალეობები

- თანამშრომელთა საქმიანობის კოორდინაცია;
- პასუხობს სატელეფონო ზარებს და ახორციელებს კლიენტების ჩაწერას;
- კონსულტაციას უწევს კლიენტებს სალონის მომსახურებისა და პროცედურების შესახებ (მომსახურების ტარიფები, პროცედურების, პროდუქციის ჩვენებები და უკუჩვენებები).
- პროდუქციის (კოსმეტიკური და მოვლის საშუალებები) გაყიდვა;
- მარაგების მართვა;
- აპარატურისა და ინსტრუმენტების გამართულობისა და სისუფთავის კონტროლი;
- სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების კონტროლი;
- ანგარიშსწორება და საკასო აპარატთან/ტერმინალთან მუშაობა.
- საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტების მართვა-შევსება.

შესაძლებელია, სალონის ადმინისტრატორის მოვალეობებში ასევე შედიოდეს:

- სალონის მომსახურების/პროდუქტების შესახებ პრეზენტაციის ჩატარება;
- კონფლიქტური სიტუაციების მართვა;
- თანამშრომელთა ანაზღაურების დაანგარიშება.
- მერჩანდაინგი, სალონის ვიტრინების გაფორმება;
- მარკეტინგული აქციების განხორციელება.

მოთხოვნები სალონის ადმინისტრატორის პოზიციაზე

- მინიმალური ასაკი 18 წელი;

- სალონის (საპარიკმახერო, კოსმეტოლოგიური, ვიზაჟის და ა.შ.) სამუშაოების სპეციფიკის ცოდნა;
- შეთავაზებული მომსახურების თავისებურებების ცოდნა, მათ შორის კონკურენტი კომპანიების სერვისებისა;
- სალონის თანამშრომლების მართვა;
- საოფისე და სპეციალური პროგრამების ცოდნა;

პიროვნული თვისებებიდან და უნარებიდან მნიშვნელოვანია კომუნიკაბელობა, არაკონფლიქტური ბუნება, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი. სასურველია უცხო ენ(ებ)ის ცოდნა.

როგორ გახდეთ სალონის ადმინისტრატორი

პირს, რომლის მინიმალური ასაკია 18 წელი, საბაზო განათლების საფუძველზე შეუძლია გაიაროს მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა და შეიძინოს სალონის ადმინისტრატორის მოვალეობების ეფექტურად განხორციელებისთვის საჭირო ცოდნა-უნარები.

სალონის ადმინისტრატორის ანაზღაურება

სალონის ადმინისტრატორის ანაზღაურება ფიქსირებულია და თვეში საშუალოდ 500 ლარიდან იწყება, ამას ემატება გაყიდული პროდუქციიდან შემოსული ბონუსი.

აკადემია ასევე გთავაზობთ შემდეგ მოკლევადიან და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამებს:

- კოლორისტიკა
- სადღესასწაულო ვარცხნილობები
- კრეატიული ვარცხნილობები
- ფრჩხილის დაგრძელება (აკრილით, გელით)
- წამწამების დაგრძელება
- პერმანენტული მაკიჟი
- ლაზერული ეპილაცია

პროგრამებზე სწავლება მიმდინარეობს როგორც ინდივიდუალურად ისე მცირერიცხოვან ჯგუფებში. დამატებითი ინფორმაციისთვის დგვიკავშირდით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- 577507023; 577507034
- ელ-ფოსტა: info@nataliacademy.ge



2019 წლის შემოდგომიდან აკადემია გეგმავს დაინტერესებულ პირებს შესთავაზოს სილამაზის მომსახურების სფეროს ჩარჩო დოკუმენტის¹ ყველა კონცენტრაციის პროგრამები, რომელზეც დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება.

პირებს რომელსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, პროფესიული პროგრამაზე დაშვების დამატებითი წინაპირობაა ქართული ენის მოდულის გავლა, რომლის მოცულობაც 15 კრედიტია. მხოლოდ მოდულის „ქართული ენა“ სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში აქვს პირს უფლება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განაგრძოს სწავლა.

¹ პროფესიული სტანდარტების და სილამაზის ინდუსტრიის ჩარჩო დოკუმენტი იხ. <http://vet.ge/>

პროგრამის დასახელება და მიზანი	პროგრამის მოცულობა		მისაღწევი სწავლის შედეგები
	ქართულენოვანი კონტინგენტისთვის	არაქართულენოვანი კონტინგენტისთვის	
<p>კანის მოვლა და სპა პროცედურები <i>პროგრამის მიზანია, მოამზადოს კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტები, რომლებიც წარმატებით უზრუნველყოფენ მომხმარებლის, ასევე სილამაზისა და ტურიზმის ინდუსტრიების თანამედროვე ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინებით, სხეულისა და კანის მოვლის პროცედურების განხორციელებას.</i></p>	58	73	<p>კანის წმენდა; მასაჟის (კლასიკური კოსმეტიკური, პლასტიკური, ჟაკეს მეთოდით, ვაკუუმი) შესრულება; დარსონვალის აპარატის გამოყენებით კოსმეტიკური პროცედურები შესრულება; ბიო, ლაზერული, ფოტო და ნემსის განოყენებით ეპილაციის შესრულება; ჰიდრო, თალასო, პელოიდოთერაპიის პროცედურების შესრულება; საუნის პროცედურების მართვა</p>
<p>ვიზაჟისტი <i>პროგრამის მიზანია, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც კლიენტის მოთხოვნის, მისი ინდივიდუალური თავისებურებების (სახის ფორმა, სახისა და თვალის ფერი, გარეგნულ იერი/ტიპაჟი) და უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით, წარმატებით შესარულდებენ ვიზაჟის მომსახურებას (სადღესასწაულო, საქორწინო, ფოტო თუ ტელე გადაღებებისთვის, პოდიუმისთვის, საქმიანი შეხვედრისა და სხვა ღონისძიებებისთვის).</i></p>	53	68	<p>შეარჩიოს/შეასრულოს მაკიაჟის ტიპი შეასრულოს დღის, საღამოს, საქორწინო, დეკოლტეს მაკიაჟი; შეასრულოს გრიმი, წარბებისა და წამწამების კორექცია; შეასრულოს თვალის, წამწამის, წარბის, ტუჩის ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია</p>
<p>სტილისტი <i>პროგრამის მიზანია მოამზადოს ფართო პროფილის პარიკმახერია, რომელიც ფლობს, როგორც ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობებს, ისე შედეგების ხელოვნებას.</i></p>	57	72	<p>პალიტრის კლასიფიცირება და სუბსტრუქტული სქემით ძირითადი ფერების ფორმირება, ნთმის შედგება, გაღივება; შეასრულოს თმა შეჭრა, ქიმიური დახვევა, გასწორება; შეასრულოს სხვადასხვა სახის ვარცხნილობები, წვერ-ულვაშისა და ბაკენბარდების მოდელირება, თმის სპა პროცედურები.</p>
<p>ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი <i>პროგრამის მიზანია კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც წარმატებით ფლობენ ფრჩხილის მოვლის პროცედურებსა და ტექნოლოგიებს (მანიკური, პედიკური, ფრჩხილის დეკორატიული გაფორმება და სხვა).</i></p>	50	65	<p>დაამუშაოს ხელისა და ფეხის ფრჩხილი, ფეხის ქუსლები, კოჟრები, გარკვევადი კანი, ნუნები; შეასრულოს: ფრჩხილების დაგრძელება-გაფორმება, გამაგრება აკრილით და გელით; ფრჩხილების გაფორმება თვლებითა და დამატებითი აქსესუარებით; გუაშით, აკრილის საღებავებით მოხატვა; ხელის (მაჯის) და ფეხის (ტერფის) მასაჟი და სპა პროცედურები.</p>

პროგრამების წარმატებით დასრულების შემთხვევაში პირს ენიჭება საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში.

სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

კრედიტის მინიჭება ხორციელდება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე. სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურება შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით (ჩათვლა);
- ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად არაფორმალური განათლებით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურებით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

პროფესიული სტუდენტის მიღწევები და ცოდნა ფასდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების გზით. განმავითარებელი შეფასება ხორციელდება როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს აქვს უფლება კიდევ ერთხელ დაადასტუროს სწავლის შედეგი, სასწავლო განრიგით დადგენილ განმეორებითი გამოცდების/დადასტურების პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა პროფესიული უნარების მიღწევისთვის განმეორებითი შეფასებისთვის დადგენილი დრო არასაკმარისია. ასეთ შემთხვევაში პირი ვალდებულია კომპეტენციის მიღწევისთვის გაიაროს მოდული მომდევნო ნაკადთან ან ინდივიდუალური გეგმის საფუძველზე.

კვალიფიკაციის მინიჭებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოდულების „პრაქტიკული პროექტი-კანის მოვლა და სპა პროცედურები“ და „საწარმოო პრაქტიკა-კანის მოვლა და სპა პროცედურები“, რომელთა სწავლება ხორციელდება პროგრამის მიწურულს. აღნიშნული მოდულების სწავლის შედეგების დადასტურება წარმოებს ამისთვის სპეციალურად შექმნილ კომისიასთან. სწავლის შედეგების ვერ დადასტურების შემთხვევაში, შედეგების განმეორებითი შეფასება ხდება მომდევნო ნაკადთან ერთად.

პროგრამის სწავლება და სწავლის შედეგების შეფასების დაგეგმილია ისე, რომ ხელი შეუწყოს საკვანძო კომპეტენციების განვითარებას: *მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათმორისი, კულტურათმორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*, რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თავისებურებები

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით, შშმ და სსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევს გარეშე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვების საფუძველზე.

	მოდულის დასახელება	კრძალბი	პროგრამის დასახელება				
			კანის მოვლა და სპა პროცედურები	ვიზაჟისტი	სტილისტი	ფრჩხილის მოვლის სპეციალისტი	
ზოგადი მოდულებ	მეწარმეობა 1	2	X	X	X	X	
	სამოქალაქო განათლება	2	X	X	X	X	
	ინფორმაციული წიგნიერება 1	3	X	X	X	X	
	ინტერპერსონალური კომუნიკაცია	3	X	X	X	X	
საერთო პროფესიული მოდულებ	სილამაზის მომსახურების ობიექტების ორგანიზება	3	X	X	X	X	
	მარკეტინგი და გაყიდვები	2	X	X	X	X	
	ანგარიშსწორება, კალკულაცია და ხარჯთაღრიცხვა სილამაზის მომსახურების ობიექტებზე	3	X	X	X	X	
	პირველადი გადაუდებელი დახმარება	3	X	X	X	X	
	ფრჩხილის, თმის, კანის ტიპები და დაავადებები	4	X	X	X	X	
	სპეცხატვა და ფერთა თეორია	3	X	X	X	X	
	დარგობრივი ინგლისური ენა	4	X	X	X	X	
დარგობრივი პროფესიული მოდულებ	ეპილაციის პროცედურა	3	X				
	კანის მოვლა და სპა პროცედურები	4	X				
	სახის მასაჟი	4	X				
	მასაჟი	4	X				
	სილამაზის სპა თერაპია	4	X				
	პრაქტიკული პროექტი - კანის მოვლა და სპა პროცედურები	1	X				
	საწარმოო პრაქტიკა - კანის მოვლა და სპა პროცედურები	5	X				
	პირსინგი ²	1	X				
	მაკიაჟის შესრულება	6		X			
	ტელე-ფოტოგრაფიის შესრულება	5		X			
	ესთეტიკური დერმოპიგმენტაცია	4		X			
	პრაქტიკული პროექტი- ვიზაჟის მომსახურება	1		X			
	საწარმოო პრაქტიკა - ვიზაჟის მომსახურება	5		X			
	თმის შეჭრის ტექნოლოგია	5			X		
	თმის ვარცხნილობები	3			X		
	თმის ღებვა	6			X		
	თმის სპა პროცედურები	1			X		
	თმის ქიმიური დამუშავების ტექნოლოგია	3			X		
	პრაქტიკული პროექტი - თმის მომსახურება	1			X		
	საწარმოო პრაქტიკა - თმის მომსახურება	6			X		
	ფრჩხილის დამუშავების ტექნოლოგია	5				X	
	ფრჩხილის დიზაინი	6				X	
	ხელისა და ფეხის სპა პროცედურები	2				X	
	პრაქტიკული პროექტი - ფრჩხილის მომსახურება	1				X	
	საწარმოო პრაქტიკა - ფრჩხილის მომსახურება	4				X	
	ჯამი:			58	53	57	50

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სავალდებულოა პროფესიულმა სტუდენტმა დააგროვოს საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

² არჩევითი მოდული

საგანმანათლებლო პროგრამები განხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.



აკადემია დაინტერესებულ პირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის საფუძველზე შესთავაზებს მოკლევადიან მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, რომელთა წარმატებით დასრულების შემდეგ გაიცემა სახელმწიფოს სერტიფიკატები.

ინფორმაცია შშმ პირების მიღებისა და სწავლებასთან დაკავშირებით

კადემია უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამებზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების (შშმპ) მიღების პროცედურის (საბუთების მიღება, გასაუბრება/ტესტირება) მათ საჭიროებებზე მორგებასა და თავისებურებების გათვალისწინებით.

ამისათვის შშმ პირმა ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა, სააპლიკაციო განაცხადთან ერთად მიმღებ კომისიას დამატებით უნდა წარუდგინოს განაცხადება შეზღუდვის თავისებურებების აღწერითა და შესაბამისი ინსტიტუციის/პირის მიერ გაცემული დამადასტურებელი დოკუმენტი, იმისთვის რომ აკადემიამ უზრუნველყოს შესაბამისი გარემო/პირობები.

აკადემიაში შექმნილია მატერიალურ-ტექნიკური პირობები, შშმ-ების შეზღუდული ფუნქციონირების აკადემიის რესურსებსა და სერვისებთან. გამოყოფილია დამხმარე პერსონალი/ასისტენტი; ადაპტირებულია გარემო (აუდტორი, სანიტარული წერტილი, პანდუსი) - დაწესებულების/სასწავლო სალონი-სტუდიის პირველ სართულზე, გამოყოფილია პერსონალი, შექმნილია მულტიდისციპლინარული ჯგუფი.

როგორც ზეპირი, ისე წერილობითი შეფასებისას ამ პირებთან დასაშვებია აკადემიის მიერ გამოყოფილი პერსონალის/ასისტენტების ან ამ პირების კანონიერი წარმომადგენლების ყოფნა, მათთვის ტექნიკური დახმარების აღმოჩენის მიზნით, როგორცაა საკუთარი ადგილის/სამუშაო ადგილის დაკავება, გადადგილება, დავალების/სააპლიკაციო ფორმების წაკითხვა-შეცვლა, მიმღება/საგამოცდო კომისიასთან კომუნიკაცია.

მიღების პროცედურებისას შშმპ-ებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება მათი შეზღუდვის ან/და საჭიროების გათვალისწინებით.

ჯანმრთელობის შეზღუდვის მქონე პირებს, მიღებისას/გამოცდისას ნებადართულია გამოიყენონ ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც ესაჭიროებათ კონკრეტული შეზღუდვის/ჯანმრთელობის პრობლემის გათვალისწინებით.

სმენის პრობლემები - დასაშვებია ხმის გამაძლიერებლების გამოყენება, კოლექტიური გამოყენების ან ინდივიდუალური.

ჯანმრთელობის (მაგ. ხელის მოტორიკის) დროებითი შეზღუდვის შემთხვევაში წერილობითი ტიპის შეფასებების დროს, აპლიკანტი აკადემიის პერსონალის დახმარებით, გამოსაცდელი პირის კარნახით ავსებს ტესტს/ასრულებს წერილობით დავალებას;

მხედველობის დროებითი პრობლემის შემთხვევაში, ზეპირი გამოცდისას, გამოსაცდელ პირს აკადემიის პერსონალი/ასისტენტი უკითხავს საგამოცდო მასალას/დავალებას, წერილი გამოცდისას დამატებით გამოსაცდელი პირის კარნახით ავსებს ტესტს/ასრულებს წერილობით დავალებას;

სუსტი მხედველობის მქონე პირებისთვის - უზრუნველყოფილი უნდა იყოს ინდივიდუალური განათება არანაკლებ 300 ლუქსისა;

მეტყველობის მოშლის, სმენის დაქვეითების მქონე პირებისთვის ზეპირი ტიპის შეფასებების ნაცვლად ტარდება წერილი შეფასება;

სილამაზის ინდუსტრიის სფეროს საქმიანობების თავისებურებებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციალობების გათვალისწინებით შეუძლებელია გარკვეული შეზღუდვის მქონე პირთა მიღება (მაგ. უსინათლო, ზედა კიდურების მოტორიკის მოშლა, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და სასუნთქი სისტემის პრობლემების მქონე პირთათვის).